



მ

ე

ტ

რ



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

1 დეკემბერი

გამომცემა

№ 15

კვირამზი

1885 წელს.

ფასი „თეატრი“-სა

წლით სული (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათნვე სამი (3) მანეთი, მისში ერთი (1) მანეთი და მარამობის თვეშიც ერთი (1) მანეთი  
ცალკე სომეხი „თეატრი“-სა ღირს სამი (3) შაური, ფასი განცხადების: მკორე გვერდზედ სტრუქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მკორე უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაიკება:

თბილისში გრ. ხარევიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში, ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გორში ს. შვალაძის წიგნის მაღაზიაში, თელავში ი. როსტომიშვილთან, გარეშე მცხოვრებთათვის ადრეს: Tiflis, Redakcia „Teatru“.  
კორესპონდენტები და საზოგადოთ ნაწერები პ. რ.-და-პირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი

# „თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მკორე)

სტოგრამა და სივრცე გაზეთი, „თეატრი“-ს იგივე ღირებება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, გერაბობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით რომორც ქალაქის, სტრუქვე გარეშე ხელის მოწერათთვის ღირს სული (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Tiflis. Вь редакцію „Teatru“.

## თეატრი და მსახიობნი (აქტიორები)

შვედი, საშუალო და ახალი დროისა

(შემდეგი \*)

ქალები დიდხანს არ იღებდნენ მონაწილეობას წარმოდგენებში. პირველი ფრანგების მსახიობი ქალი გამოვიდა სტენსზედ გენერის მე-III-ის მეფობის დროს, მანამდის კი პარიჟის დანში თამაშობდნენ იტალიელი ქალები. წარმოდგენების გამართვის სიღრმის აღნაგობადა სოლი მე ქუჩაში მკვალი ღიჯანია, რომელსაც წინ მიუძღოდა

სიყვარის დამკვრელი, სურათები და ზოლიცის მონაწილეობა; წარმოდგენის გამართვის მადადენ სულში ცხენებსე მსხარანი და მათ შემდეგ მოაქვდა ქალი. ერთი რომელიმე წარმოდგენის მოთხოვნისა დროით ურთხვედა ვისაც კი სურდა თამაშობა, გამოეცხადნა თვისა თავი და მოხუდიერ დანიშნულს დროსე თეატრი. ამისთანა მონაწილეუ სიღრმის გუნდს ერქვა ცოც; მათ მონადგვდა monstre. ეს შესდგებოდა ფეხით, ან ცხენით მონაწილეუ არტისტებისაგან.

გარდა მისტერიების მე IV სუქუნში რადგინდენ სტრუქვე ფარსებს, ახუ „სუქობებს“ (farces et

\*) იხილე „თეატრი“ № 14.

sotties); საფრანგეთში ამ გვარ ზიკსებს თამაშობდა ორი დასი (les clares de la Basoche და les Enfants Sans-Souci). 1303 წელში კრება de la Basoche, შემდგარი მოსამართლეების კლერკებისაგან, რომელსაც ჰქონდა მინიჭებული ნებანი, მაგრამ ესენი მაინც იძულებული იყვნენ დაეტყობათ საქმე des Confrères de la Passion-ის დასთან და შემდეგ შეერთდებოდა des Enfants Sans-Souci-ის საზოგადოებას. ეს საზოგადოება აძლევდა კამაგიონს Confrères de la Passion-ის საზოგადოებას, რადგანაც ამ უკანასკნელს საზოგადოებას ჰქონდა განსაკუთრებული ნება დრამატული ზიკსების წარმოდგენისა. Des Enfants Sans-Souci-ის საზოგადოება ვერ იყო მჭიდროთ შეკავშირებული და წარმოდგენებს მართავდა მოედნებზე და ბაზრებში; ხან-დის-ხან კი les Confrères de la Passion მიიწვევდა სოღმე des Enfants Sans-Souci-ის დასს; ამისთანა შეერთებულს წარმოდგენებს ერქვა leux des Pois pilés. De la Basoche-ის უფრო ჰქონდა მინიჭებული მეფის ტოგი და უაპელაციოდ გადასწრიდა სოღმე ეგელა კლერკების სახივრებს. იმასვე ჰქონდა მინიჭებული ღვაბი ცისფერი ფონით და სამი ოქროს ასოთი. Des Enfants Sans-Souci-ის საზოგადოების მოთავეს ესურა მუდამ სულელების იარაღინი უღარუნებით და კაპიშონი მორთული ორი ვირის თავით. ამ მოთავეს ეძსდენ სულელების ბატონს (Prince des sots); მას უფლებას და სუმრობას უზიარებდა „სუმარა-დეა“ (La Mère-Sotte). მე XV საუკუნის მსახიობთა სახელები ჩვენ არ ვიცით. მე XVI კი ესენია: ზიერ გრინგორი, მოთავე des Enfants Sans-Souci-ის საზოგადოებისა, უნ დე-პონტალეზი და კლე-მან მარო. ლიუდოვიკოს მე XII და ფრანცისკოს I ძალით უყვარდათ მასვილ სიტყვიანი და კუზიანი პონტალეზი და თავს იმისი გამუდავი სუმირობით არობადენ.

(შემდეგი იქნება)

### მეფის



ა ვიმღეროთ, ჩემო მუზავ!  
 ნუ თუ სოფლის ცრუ მშვენება?  
 წარსულ, აწმყოს ცრუ იმედ!  
 თუ ამ სოფლის მანქანება?

შენ არ იცი, რომ ჩვენ მღერას,  
 ცრუ სოფელი არ უგდებს ყურს!

ჩვენი მღერა და სიცილი,  
 იმას ყველა თვითოთა შურს.

აკი გვითხრეს, ცრუ სოფელზედ,  
 ნუ ენდობით, ნურც სცემთ ხმასო,  
 თორემ ნახათ მოტყუებულთ,  
 სითაც უნდა გიზავსო თავსო.

და მას აქეთ, იმის საქმე,  
 არას ფერი არა მჯერა;  
 თუ მაყვედრის, ისიც ამხნას,  
 რაც მან ბედი დამაკერა.

ის ვიმღეროთ, ჩემო მუზავ!  
 რაც რომ დასძლევს ბოროტებას,  
 და იმით ნუ შევშინდებით,  
 სოფელი გვიქმს მანქანებას.

ა...

\* \*



ინც მიყვარდა, იგვი-მიყვარს, ის არი;  
 ჩემი მკვლელი, ჩემი მხსნელიც ის არი!  
 მის სიყრმიდამ შევემსკვალე, ის არი;  
 ჩემი კენესა, ჩემი ლხენა, ისარი!

მისი სხივით კიდევ თბება ეს გული;  
 მისი ტრფობა გულში მაქვს დანერგული.  
 მწამს და იმას სიკვდილზე ვემოწმები,  
 მოვეხვევი—მის მკერდს დავეკონები!

არას უღრი: არც მზეს, არცა მთვარესა,  
 არც მათ სხივებს ნათელს, მოვლევარესა;  
 ის სხვა არის, მნათი ამა გულისა,  
 დამატკობი, ღირსი სიყვარულისა!

აზრით, გრძნობით, ფიქრით უახლოვდები;  
 მასთანა ვარ, მე მას არ მოვშორდები.  
 უიმისოთ ვკენესი, გულით ელონდები!  
 არ ვინაღვლი წავწყდები, თუ ეცხონდები!

თუ კი იმას გული აუყვავდება,  
 ძვეყანაზედ ის ერთი განსხვავდება,  
 სიყვარული ჩემი გაუმაგრდება;  
 ჩემი გულიც იმითი აყვავდება!

მინ დამჩაგრავს მე, იმის მომგონესა,

მისი ეშხით გავიმაგრებ ღონესა!  
მაშინ მნახავს ყველა თაემომწონესა,  
თავი მივსცეთ მაშინ სიამოვნესა!

ჩემს მეგობართ, ძმათა, ამხანაგებსა,  
წინ ღავიფენთ სიხარულის ჰანგებსა.  
მაშინ ერთად ვიხალისოთ, ვიღწინოთ  
და მოყვასთა გულს წათელი მივფინოთ!

ენ. ნ. ორბელიანი

კრიტიკა და ენობლოგრაფია.

ჩვენ ლიტერატურაზე

V

(შეზღვევა\*)

მადლი დმერთს! მწერლები ბევრი გვეყავს. ამ შემოსევებში ბედს ვერ დავკვიდრებით. ბ. ბ. ი. ჭავჭავაძე, ავაკი, ფაშელი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი. ჯალადი-დელო, და სხვ. კვანი ისეთი ზიანი არიან, რომლებიც ჩვენმა მწერლობამ ნიჭებად აღვიარა, არას ვიტყვით მიცვალებულზე ბ. ბ. გ. ერისთავზე, ნ. ბარათაშვილზე, გ. ორბელიანზე და სხვ. არას ვიტყვით არც ერთი ამ მწერლების ნიჭზე, ვინაიდან ჩვენი სტატია უმისოდან რაღაც გაჭიანურდა. ესეც არ იყო, იმ გვარ პირებს, როგორც არიან შემოსხსენებულნი. განსაკუთრებით უნდა იხასიოს გვმა. მათ მოღვაწეობის დაფასებას ცოტა სიტყვები არ ეყოფა, — მტრადი შრომა: არ დასჭირდება.

მაგრამ არ იქმნებოდა ურიტო გარდაგვეხდა ვალი და გვეთქვა რამე შემოსხსენებულ მწერლების შემკვიდრებულზე. რასაკვირველია, იმათი სითითად ჩამოთვლა მსულა, და ამისათვის ჩვენ დავასსელებთ ორიოდ-სამიოდეს. მაგალითებ: ბანანა, ნასარიძე, ძღვიძელი, ი. დადიანი და სხვანი ათასი. აი, ის პირები, რომლებიც ვითომ თავიანთი აზრით შემკვიდრებულნი შემოსხსენებულ პოეტებს და მწერლებს. ამ პირების შესახებ ჩვენ გასეთის „ახალი მიმოხილვის“ ზოგადი თანამოაზრე განლაგართ. სწორედ არ იქმნებოდა ურიტო, რომ იმათ ასე ადრე სკოლები არ დაეტოვებიათ და ანბანს ებეჭითებინათ. მოკესსენებთ, მწერლობის აწევს კაი ზურგი უნდა და იმთსაკებ მომწადებული, ტყუილად სტდება, რომ გა-

მოდის მწერლობის ასპარეზობაზე. ამ ზიკებს აქ ჩვენ შეკესებით გაკვრით და მათზე განსაკუთრებითი ბასი შემდგომისთვის უნდა გავსდებთ.

ვიმეორებთ, ჩვენი ლიტერატურა არის ნერგი. ეს ნერგი უნდა გაზუნებრავებულ იყო ჩვენმა. რამდენად გაზუნებრავდა ამაზე მსკელობას ვერ-ვერობით ვერ განვგებობთ. მხოლოდ ვიტყვით მას, რომ სანამდის ჩვენი უსუტესი მწერლებს უფრო მაგრად ეკავთ აღმართული დრომა ლიტერატურისა, ამ ნერვის გაზუნებრავებაც კარგად და ღაზთიანად მიდიოდ. თუ ბევრი არა ცოტა მისიც სელაგურად დაწერილი წიგნები გამოდიოდენ ამას წინად. მაგრამ, როგორც მოგასსენეთ, კაცი ბურდება, კაცზე უფრო ადრე შესედულუბები ბურდებიან და ნათქვამია (უგანდრავთა ვარ ამ შედარებაზე) „ბებერ სარს მოხვეერი უნდა შესველოო“. სურედურად ჩვენდა, იმთთანა მოხვერები, როგორც არიან ბ. ბანანა, მასთან მოსხსენებული პირები და დანარჩენი სხვა ათასი ამითი მსგავსი, მსულად გასწევს უფლებს.

ჩვენი მწერლები აიზარდენ რუსეთში, რუსების ლიტერატურას დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა ჩვენზე. ზოგიერთი ჩვენი თსულებები ცხადად მოგვავტონებენ რუსების პოეტების ნაწერებს. მაგალითად, ჩვენი მკირფისი „გვცა ადამიანი“ გამოჩენილი გოგოლის „სტაროსელსკი პომეშიაკებს“. ხოლო ეს მოგონება მხოლოდ მოგონებად რჩება და მითი სანქე ბოლოვდება. ჩვენ გვცია ადამიანსა ნიდაგი ქართული აქეს, შიგ ჭე მმარტიო ქართველები მოქმედებენ, იქ სურათებიც ქართულია, ცრუმორწმუნეობაც ქართულია, სმც, ჭამც; — ერთი სატყუით სულ ეველაფერი. გოგოლის თსულებს კი სულ თავიდამ ბოლომდე რუსული სუნი უდისა. მხოლოდ გარეგნობით, ფორმით გუნან იგინი ერთმანერთს. სისას, რომ გოგოლმა თავის „სტაროსელსკი პომეშიაკებში“ დიდი ნაჭი გამოიჩინა, სინამდვილეს ცხადად გამოხატვით, მაგრამ ბ. ი. ჭავჭავაძემ გადააჭარბა მას. შევირდმა ოსტატს აფობა.

უეჭველია, რომ ადრინდელ მწერლებს აქვთ გავლენა მერმინდებულზე. როგორც შევირდი გაივლის თავის მასწავლებელის სკოლას და შემდეგ რამოდენიმე სინას უფრო მაღალ დადგება ამ სკოლას, გვთოვე საზღვანდა მწერალმა, ანუ პოეტმა უნდა გაააროს სკოლა ძველი მწერლებისა და შეუხერხებელის ნაბიჯით გაუშოროს წინისაგან. ზოგიერთი მწერალი კი მიბძვით ემყოფილდება. მიბძვის და გავლენის შუა დიდი სმსხვავობა. შეიძლება კაცი შენს დღეში ვერ გამოსვიდე გამოჩენილის მწერლის გავლენიდან, მაგრამ ეს მისიც არ გართმევს უფლებას შენც ორიგინალური აზრებისა იყვი.

\*) იხილე „თავარი“ № 14.

მაშასადამე ვი მუღამ დამოკიდებულა თავის ორიგინალი-  
დამ. უნდა გამოტყნოსი მოგასხსნოთ,— ჩვენს ხსლავსდა  
მწერლებში მეტად გავრცელებულა მბაძკა და ამიტომაც  
მათ ავლათ სინოცსლე, ეს კადეკე ისეთი შომაკვანებუ-  
ლი ცოდვა არ არის, როგორც არის ლიტერატურული  
ჭურდობა. რადესაც ჭურდობას ვაქვაცობად რაცსკენ.  
მე ვი ამაში ვაქვაცობას ვერ ვსკდავ, შეიძლება სერსია-  
ნობა კადე უწოდოთ. და თუ როდესმე ჭურდობა ვაქ-  
ვაცობად ძიხნდათ, ავლათ იმ ნეტარ დროს არ იცოდენ  
ტარხევა სიტყვების შორის: „ვაქვაცობა და სერსიანობა“.  
კარგი დავემართოს თუ ვი ჩვენ ლიტერატურაში, სერ-  
სიანა ჭურდობა იყო, მაშინ კადეკე არის ვიტუოდით.  
შეიძლება ნაჭიერი კაცი იყუე, ნაკითხი და შენს ნაწერ-  
ში შეიკოკვაროს რამოდენიმე აზრი, როდესმე შენგან  
ამოკითხული. ეს არაიყერი, ეს გეპატივება, რადგანაც  
ოდესმე სსკა და სსკა წიგნებში ამოკითხული აზრები  
შეგსორცება და ამათ თათქმის შენ კუთვნილებად გამს-  
დაარს. იმ გვარი ჭურდობა, როგორც გავრცელებულა  
ჩვენს ლიტერატურაში სსსილიარია. ნისუშად მოკუეჩან  
ორს ნომერს გასეთის „დროკუისას“ მე-142 და 153.  
პირველში თქვენ წაიკითხეთ ნიჭიერად და სელოკურად  
გადმოთარგმნის ლექსს ჭინუდამ ბ. ი. ბაჭრამასან.  
მეორეში ნახეთ ორიგინალურ ლექსს ვიღაც მ. ჯორჯა-  
მასან, ამოვიწერთ ვერ ბ. ი. ბაჭრამას ლექსი.

ჭ ე ი ნ ე ჯ ა მ

ძილში ვსტროლი, მე დამესიზმრა:  
ვითომ შენ საფლავს იუფე მდებარე,  
გამომეღვიბა და თვალეზიდამ  
ჩამომდიოდა ცრემლი მდულარე.

ძილში ვსტროლი, მე დამესიზმრა:  
რომ ჩემზედ გული გაცვივებოდა,  
გამომეღვიბა და თვალეზიდამ  
დიდხანს მდულარე ცრემლი მდიოდა.

ძილში ვსტროლი, მე დამესიზმრა:  
რომ კვლავ ერთად ვართ ბედით დამტყბარი,  
გამომეღვიბა... მაინც ჩემს თვალეს  
ვერა შეესწავიტე ცრემლი მდულარი.

ი. ბაჭრამაძე.

არ ვიცი, მკითხველო, შენ რას გძმნობ ამ ლექ-  
სის ჩაკითხვის დროს და მე ვი ურუნტულივით გამიბრუნს  
სოღმე სიტყვობას ძარღვებში. რა სიამართლე და სინამ-  
დვილურ ამ ლექსში დამარხულია. რა პოეტური გძმნო-  
ბა იმალება მაში. წმინდა გძმნობა, გძმნობა ადამიანის!

რა მშვენიერი თარგმანია. თათქო შთარგმნიელი სეღშა  
ჩასმარმოდეს ჭინეს. რამოდენიმე პიესა ესე სელოკურ-  
რად ვადმოთარგმნილი შეგვიდგენს ნებს ჭეშმარიტ შთა-  
ბეჭდილებას გამხანელ მწერადსე. ესლა ამოკწერთ  
ბ. მ. ჯორჯამას ლექსი. ამ ლექსს სთიაური არა აქვს,  
მეგრამ სამი ვარსკვლავი, რომლებიც მას აზის თავსე  
ცხადად გვიმტკიცებს რომ, დამწერს ორიგინალად უნდა  
ტყუდოს იგი.

\*\*\*

„მეუვარხარ!“—სატრუო მეუბნებოდა,  
ჩემს მხარზე ჭქონდა თავი დახრილი,  
ფუნრუო ზეღებით (?) ყუღს მესვეოდა...  
მე მომდიოდა მხოლოდ ღიმილი.

„უშნოთ ერის დღეს“ ის იძახდა (მადლა თუ დაბლა?)  
„ვერ გავსკლებ—მიფხოს მაშინ სიკვდილი“ (როდის?)  
მე მომგონდა ჩვენი ბუნება (!)  
და მომივიდა მხოლოდ ღიმილი.

ჩვენ ვსვირობდით, ყველა იძახდა:  
„რა ლამაზია, რა მოუვანილი!“—  
ჩემს სატრუოზედა, ის წითლდებოდა,  
მე მომდიოდა მხოლოდ ღიმილი.

ერის მეგობარსა ხშირად ვხედავდი,  
სატრფის დასდევად, ვითა აჩრდილი;—  
მაგრამ იგი მზე თავს არიდებდა...  
მე მომდიოდა მხოლოდ ღიმილი.

განვლო დროებამ სატრფოს, მეგობარს  
ერთად მოვასწრე ვიუფე გაცვილი...  
ორთვე ვეკრთენ, მე ავანაჯალი...  
და მომივიდა მხოლოდ ღიმილი. (!!) O, Dieu!

მ. ჯორჯამაძე.

იქნება ვინმემ სოქვას: „რას ემართლებით? დით  
განსსკავებებს ეს ბაქოუფი (ლექსი ბაქოშია დაწერილი)  
ჭინეს ჭეშმარიტ ჭინესკანო? ძართალი სარ, ბატონო  
მკითხველო! ლექსითა წეობა ბ. ჯორჯამას ბაჭრამაძესე  
ნაკლება არ აქვს, მეგრამ ჩვენ ვლამარაკობთ ლიტერა-  
ტურულ ჭურდობაზე. ფიცით მოისსკეთ, რომ ბ. ი.  
ბაჭრამას თავის ლექსი არ დაეუტდა გასეთის „დროკუ-  
ბის“ მე-149 მ-ში, მაშინ მე 153-ში ბ. ჯორჯამას  
ლექსიდ არ გამთხნდებოდა და ამას გამო ბაქო შეს-  
ნიშნე ქალაქად არ გასლდებოდა ჩვენს ლიტერატურაში.  
იღია და აზრი, რასაკვირველია, ორთვე ლექსის ერთი  
და ივიკვა; ასე რომ უმთავრესი ჭინეს ლექსიდამ ვად-  
მოტანილი აქვს ბ. მ. ჯორჯამას. განსსკავებს იმაში  
მდგომარებას, რომ ჭინეს ცრემლს ღვრის სან მეტის  
მეტი სიამოვნებით, სს მწუხარებით. იგი ცრემლს ღვრის

როგორც შვილი მუდამ ღრუბლიანი ჩრდილოეთისა. ჭო-  
რჯამე კი სულ ილიმება. ჩვენ სრულებით არ ვაძლევეთ ნე-  
ბას თავს, საიმოჟნება მოუსპობთ ვისმეს; ან რა საქმე  
გვაქვს ვისმეს დამართან. მაგრამ, როდესაც კაცს მოგი-  
წადინია, შენის დამართანადი მიიქცია უურადლება მთე-  
ლი სასოკადობისა, ამით ნებას გვაძლევენ ვსაჯოთ ის  
დამილი თაბაუთიანია, თუ უთაბაუთოა. როდესაც ამ ლექ-  
სებს კითხულობთ, — ერთს მოჭყყავსართ ადტატებაში,  
მას არ იმორებთ სედიდგან და ესურსთ ჩაიკითხოთ რა-  
მოდენჯერმე; მეორეს კი ზოლომდი არ ათავებთ, თქვენ  
მას უგუჟაგებთ ზიზლით, ეს იქადამ წარმოსდგება, რომ  
ჯორჯამის ლექსში სრულებით არ არის სინამდვილის  
და სელოგნების ნატამელი. გრძნობას სომ სამთლითაც  
ვერ ვაძლევეთ შიგ. ეტყობა კი, რომ ჯორჯამე ცდილა  
თავის უგრძობლობა გრძნობად გაეყიდა, მაგრამ ეს  
უოვლად მოუსურსებელია. იმის ლექსში უოველი სიტყ-  
ვა სინტრუჟა. იმის დამილი არის სულელისა, იდიოტი-  
ისა. ზეისეს ლექსში კი, როგორც ვსთქვით, თქვენ შესვ-  
დებით ცრემლს დაღვრილს გაღვარებულის ნეტარები-  
საგან და ცრემლს გამოწვეულს ჭკუშინარტის მწუსარები-  
დაშ. აი ეს გასლავსთ ნაუოფი ლიტერატურული ჭურჭლ-  
ბისა, წარმოდგანი ჩვენი ხსლავსდა მწურლების უმეც-  
რებისაგან. საუბედურად, იმ გვარ დროში ვართ, რომ  
სსვის ჭკუით მოსარება მეტად სამსლოა შეიქმნა. უმ-  
ჯობესია სსვის ჭკუსე აღსარდა შენი, რათა მეომისა-  
თვის რარტინაღური მიმართულება მისცე მას. ლიტე-  
რატურული ჭურჭლობის მაგალითები მრავალია და იმათ  
თავის მოფრას ვერ ვიკასრებთ და გადავჯრ რომ ვიკის-  
როთ, ეს არ შეესება ჩვენს საგანს. ჩვენს ბასს ზრინ-  
ცაზაღური ხსაიათი აქვს; ვინაიღვან სშირად ზრინცა-  
ზაღური ბასიღ მაგალითებს თსოულობს, ამიტომაც გან-  
და აქ ბ. ჯორჯამე თავის ლექსითურთ.

ბ. ალისურბელი,

(შემდეგი იქნება)

✕ გოგოს ჩივილი

(ვუძღვნი თუ—ბე—შვილს)



ასათხოვარმა ქალმა სთქვა:  
შინ ჯდომამ დამაკუტაო,  
ნეტავ საბედოს, ჩემ საქრმოს—  
საყვარელს დამაკონაო.

შდროვოდ ვსტკნები უტრმოდა,  
მეძლევა დიდი ზიანი,  
ჩემთვის ბნელია მუდამ დღე,  
თუნდა რომ იყოს მზიანი.

რად მინდა ფიქრი, სურვილი,  
თუ კი ვერ დავძრავ ენასა  
და ფეხს სითაც კი ვადავდგავ,  
თუ ყველგნით ველი წყენას!

მეუბნებიან: შინ იჯექ,  
თავი არ გაჰყო კარშია;  
ჩვენ ვიცი ვისაც ავირჩევთ,  
ვისაც მოუხვალ თვალში!

ძალი ისეა კაცისთვის,  
რაც საქონელი ფურიო!  
ძალიმა-ლა უნდა იცოდეს  
ძმარ-შვილის სამსახურიო!

მირჩევენ: ქალო, ნუ დასდევ  
ძვეყნის აგსა და კარგსაო;  
მძებე ჩაცმა-დახურვა,  
სხვაფრივ ნუ იწყენ თავსაო!

ი. დ.

### ველტანი

მურა დანიტხოვეს

თავი V

ცოფიანი ძაღლი. გოგია.

(შემდეგი \*)

რას ფიქრობდა ამ დროს ცისის მთასედა  
მდგომარე გოგია, არ არის მნელი გასაგებო.  
როდესაც ის იუურებოდა ქვევით და მიძინე-  
ბულს ბუნებას სედავდა, მაშინ თითქო დაძინა  
იმისმა უგანასენელმა იმედმაც შვილის ზოე-  
ნასედა; იმის მოღრუბლული მწუსარე სასე მო-  
ირწეო ცრემლით და ამ ცრემლებთან ერთად

\*) იხილე „თეატრი“ № 14.

იმან გამეცხებით უთხრა თავის თავს, რომ ის თვითონ იყო თავისი შვილის დამღუპავი. მარტო ესღა არ უფიქრია იმაზე, თუ რას შეადგენდა მისთვის გიგუა; ის ყოველთვის უფრებდა თავის შვილს, როგორც თავის სიცოცხლის მისანს და ვერას გზით ვერ უსწინდა, თავის თავს იმას, თუ რა მიზეზით აქცევდა აქამდის ასე ცოტა ყურადღებას თავის ერთადერთს საუნჯეს. შემინებული ათას-ნაირი ერთმანერთ-სეუდ უფრო ცუდი აზრებით, ის ევედრებოდა სეციერ გამჩენს დაგბრუნებინა იმისთვის თავისი შვილი და მსურვალედ ფიცულობდა, რომ თავის დღეში აღარ განდებოდა იმისი ამ კვარი ტანჯვის მიხესი.

კარგი ხანი იდგა. გოგია გატაცებული ამ კვარი ფიქრებით, როგორც უეცრად იმას შემოესმა ქვევიდამ კვნესა. ჩაიხედა ქვევით და დაინახა ემაწვილის ტიტველა ფეხი, აზრის უმაღლესი ჩაიჭრა ქვევით და ნახა, რომ კლდის ქვეშე ამოხულ ერთადერთი დიდი ტეხ მირში ემინა წითლად სახე ატყეცილს გიგუას, გასარებულმა გოგიამ მოინახა ქუდი, გადაიწერა ზირჯვარი და ფრთხილად დაადო შუბლზედ ხელი; შუბლი ცეცხლივით ცხელი იყო. გოგია მიხვდა, რომ იმისი შვილი დასიცხულიყო. იმისი შემოფრეწილი ტანისამოსი და დაკაწრული ხელ-ფეხი აშკარად ამტკიცებდენ, რომ მას ბევრი წვალება გამოეარნა. იმის სახესეუდ ესლაც, როდესაც მას ემინა, ისატებოდა ის ძლიერი ტანჯვა, რომელსაც მასზედ რაღაცა ზატვისავეში გამოეტყველება აღებეჭდა. გოგია წამოდგა და დააკვირდა თავის შვილს, მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ის გამოვიდა შინ, სხვა აზრს არ გაუვლია იმის თავში გარდა შვილის ზოგინისა. მართლა და რაღა რჩებოდა ამ უბედურს, წვალებულს და ბედ-უკუდმართს მამას ამ ქვეუანსეუდ გიგუას მეტი?

მთელი კაცობრიობა სცოცხლობს მარტო იმედით და მკონია არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელსაც იგი არ შერჩენოდეს. და თუ მართალია, რომ „მაშა შვილში განახლდება“; მაშადვილად წარმოსადგენია, რომ გოგიამ უველა თავისი გაქარწელებული იმედები გადაიტანა თავის ერთადერთს შვილს გიგუასეუდ. ამიტომაც მინამ ის დაკარგული იყო, მას ორ-ნაირი მწუხარება სტანჯავდა: ერთი შვილის დაკარგვა და მეორე მისი სიცოცხლის ბურჯის უგანანგელი იმედების გაქარწელება და როდესაც იმან შვილი იპოვნა, ზირჯული იმისი განმანახა, რანაკვირველია, ის იქმნებოდა, რომ როგორმე ეშველა შვილისთვის, მაგრამ ის შეაყენა იმისმა სახის გამოეტყველობამ, რომელიც ნახვარ ძილში ჭკუის დიდ მუშაობასა ჰსატავდა. გოგია მიხვდა რასედაც მუშაობდა იმისი შვილის მშვენიერი თავი და აზრის უმაღლესად ავალთ თავალი თავის წარსულს ცხოვრებას, წინა დღის საღამოს და იმ დღეის შემთხვევას, — და დარწმუნდა, რომ მიხესი უველა ამისა იყო მურიას გავდება. მიხვდა იმასაც, რომ გიგუა გაჯავრებული უნდა ყოფილიყო მამასედაც, რადგანაც აღბად იმასაცა სთვლიდა მურიას გავდებაში დამნაშავედ. გოგია თავის შვილს კარგად იცნობდა და ამიტომ მწარე ოხვრა ამოუშვა გულიდამ, როდესაც გადაჭრით, უთხრა თავის თავს, რომ მის წინ მწოლარე შვილი მისთვის ვერ კიდევ ნანოფნი არ იყო, ის იყო წამოსული მურიას სამებნელად და მინამ არ შესდგამდა ფესს შინ, მინამ მას არ იპოვნიდა. კეთილი, თუ მურია მოიძებნებოდა — მაშინ შეიძლებოდა გიგუას შინ წაყენა; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გოგიამ არ იცოდა, როგორ გათავებოდა ეს საქმე. როგორც კაცმა, მან გულში განუხიარა მას მწუხარება, როგორც მამამ — გადასჭრა, არას გზით არ გაემო ხელიდამ თ-

ვისი შვილი და აი იმან მთრთოლვარის გულით გასწია წელისაკენ, დასველა თავისი წითელი სელსასოცი და დაადო შუბლზედ. გიგუამ გასწილა თვალები და გაკვირებული შესედა მას.

— შვილო, უთხარი მამას, დაუწყო გოგამ, რად წამოხვედი შინიდან?

რადაცა მრისხანების ელვამ გაურბინა გიგუას მოღრუბლულს სასეხედ ამ კითხვის შემდეგ, ათას-ნაირად შეეკვცა მას სახის კანი, და ერთად-ერთი მისი სახე ბევრს რასმე ამბობდა. ეველას ერთად როგორ იტყოდა იმისი ერთი ზირი და ამიტომ ვერ გასცა ჰასუსი, მხოლოდ შუბლიდამ აღებული სელსასოცი ძალით გადასტეორცნა შორს.

— შვილო! უთხარი მამას, თითქმის ტირილით გაუძეორა გოგამ, რად წამოხვედი შინიდან?..

სამინელი უხე-ცრემლიანი სარწმარი მოჭევა გოგიას ამ სიტყვებს, რომლებმაც სრულიად დაარწმუნეს გიგუა, რომ თუ მის მამას არ მიუღია მონაწილეობა მუშისა გაგდებაში, იმას სცოდნია მანაც ეს ამბავი და არაფრით არ შეუშლია ძაღლის გაგდება.

— მამ შენც იცი, გოგი, რომ მუშის გაგდება? — სთქვა თითქოს დაშვიდებულმა გიგუამ — შენც იცი!? მამ მშვიდობით შენ მე ვეღარა მნასხავ! — და მარტად ზევითკენ გასწია.

ა. რევიშვილი.

(შემდეგი იქნება)

კინტო

(გაუღნი ა. ცაგარელს)

რას მიყურებ, კინტო რომ ვარ ობოლი, მეც მყავს ჩემი ამხანაგი და ტოლი; რას მიბღვერი, ზურგს მიგიდევეს ხელები. ჩემს ჰამქარში მეც კაცად ვიხსენები.

აქაო და რომ სერტუკი გაცვია, იმითი ხარ გულადი, მამაცია? მით იწუნებ ყარაჩოლულს მიჭუას და ეძახი ბრიყვს, სულელს და გიჭიას?

მე რათ მინდა შენი ბალნი მუშიკა, ტანცი, ვალსი, მახურკები და პოლკა, — მირჩეენია ძუპრიას ბალდაგურზედ ლოთიანად დაგეტბოდე ბუქნაზედ.

მე რათ მინდა შენი ბლამანყეები, ტიურნურებით, კორსეტებით დამები, — მირჩეენია გლეხის გოგო, გომბიო, მრთი ჯამი სუფთა ნიგვზით ლობიო.

მე რათ მინდა გიმნაზია, დაეთარი, ჩემი სწავლა არის შეითან-ბაზარი... მფლს ვიწურავ, ფულს ვიგებ, ხილს ვატარებ, მიქეიფებ — ჩემს თავს მეფეს ვადარებ.

შენ კლუბებში გასწი, იხეტიალე, მე ცხოვრება ჰარამად ატრიალე; მე სიფათი ფარისეველად იცვალე... შულის დარღში მოკვდი და მიიცვალე.

მრთაქალას მივალ, მიმიხაროიან, იქ კოკობი ძმა-ბიჭები არიან; არც მე ვაწყენ, არც ისინი მაწყენენ, მურაზები ეშხიანად მალხენენ.

წადი, გასწი ადრინდელგებრ ილხინე... არ მოვიწყენ, ვიღრე გვერდთ მაქვს საღვინე ძახურს ღვინოში დამბალი და სველი, ტკბილს დუღუქთან იმას ვუცდი, მას ველი!

ბედის წაპრო



ამ დაგშრო, შე ოხერო  
ღარიბების ბედის წყარო?!  
ამოდულდი, რომ ქვეყანა  
მრთ-ნაირად გაახარო.

მე გულსა მწვავეს ეს სოფელი,  
მრ-ნაირად გაყოფილი:  
ბედით ჩაგრულს უღვთოთ სტანჯავს  
სიავის ბედით კმაყოფილი!

ზოგი ხარობს და ზოგი-კი  
ბნელს მარხია, როგორც ჭური...  
და ამ სოფელსა ევაღახი;  
„ბაუწიეს სამსახური!“

ი. დ.

თ ე ა ტ რ ი ლ ა მ უ ზ ი კ ა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21-ს ნოემბერს ქართულმა ღა-  
მატიულმა დასმა წარმოადგინა: „სადავო მფლო-  
ბელობა“, კომ. ვ-ს მოქ., გაღმკ. ლ. მრისთავისა-  
გან და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „სელქები“.  
საერთოდ ყველამ კარგად ითამაშეს, განსაკუთრე-  
ბით ბ. ვ. აბაშიძემ და ბ. მოხევემ ვოდევილში;  
გარდა ბ. პ. მაქსიმოვისა, რომელიც არ ვიცო, წარ-  
მოდგენის დღეს მშვიტი მოდის ხოლმე, — თუ რა  
არის, რომ მთელს წარმოდგენაზედ სულ ათი სიტყ-  
ვა არა ხედება და იმასაც თვითონა ჰყლაპავს, — სწო-  
რე გითხრათ ეს ვერაფერი ქცევა ბ. მაქსიმოვისგან;  
საშინელი გონება დახმული ახალ-გაზდა კაცი უნდა  
იყოს, რომ ათი სიტყვა ვერ დაისწავლოს, მით  
უფრო რომ უსწავლელობით ანსამბლს აფუჭებს.  
ამ უკანასკნელს წარმოდგენაზედ ძალიან ცოტა  
ხალხი დაესწრო.

ქვირას, 24-ს ნოემბერს, წარმოადგინეს „ღამ-  
ნაშავეის ოჯახი“, დრამა ვ-ს მოქ. ჯიოკომეტისა, თარ.  
ივ. ჯაჯანაშვილისაგან. ეს პიესა ყველა ვეროპიულს  
ენებზედ არის გადათარგმნილი და არა მცირედი  
ადვილი უჭირავს ამ ხალხონობის რეპერტუარში;  
აგერ ეს ორი-სამი წელიწადია რაც ქართულს ენა-  
ზედაც გადითარგმნა და თამაშობენ. მით უფრო  
საყურადღებოა, რომ აქ, ამ პიესაში საერთო, კა-  
კობრიული ტიპებია დახატული, რომელიც ყველა

ეროვნების კაცს შეეხება; თუმცა კი ავტორს სა-  
შუალო საუკუნოები აქვს დახატული, როდესაც  
იზიუტებას ღრო მეფობდა. ამ პიესაში მკითხველი  
ორს უკიდურესობასა ხედავს: თქვენ თვალ წინ გი-  
დგათ უსუსური ბავშვი, რომელიც ჯერ სოფლის  
წაღმა უკულმა ბრუნვას სიცოცხლე არ მოუწამ-  
ლავს, იგი სცხოვრობს მხოლოდ ოცნებით, რომე-  
ლიც როგორათაც ანგელოზი ისე დაჭრინავს ზე-  
ცაში. ეს გახლავთ ემპა (მ. საფ. აბაშიძისა) ორა  
ტანჯული მამობელას შვილი: როზალიასი და  
ძორრადოსი.

მეტის წინამდელით იყო წარმოდგენილი ეს  
ტიპი მ. საფ. აბაშიძისაგან, ყოველივე თვისი თვი-  
სებების წყობალებათ.

როზალია (ქ. ანდრონიკაშვილისა), რომელიც  
ოთხს დიდს გარემოებას ებრძოლება, მეტად ღა-  
მატიულია იმის მდგომარეობა; პირველი როგორც  
ცოლი დანაშავეისა, ღრღნის და სტანჯავს ქმრის  
უბედურება; მეორე რომ იგი სცხოვრობს თავის  
ღვიძლს შვილთან, მაგრამ გარემოების გამო აყრი-  
ლი აქვს ყოველივე მშობლიურა ღირსება, — ეს აზრი  
განუშორებლივ სტანჯავს და არ აძლევს მოსვენე-  
ბას; მესამე, რომ იმის წინამდევ მოქმედობს მო-  
ნასტრის წინამდღარი მონსინიორი (მ. აბაშიძე),  
რომელიც ერთი-ათად უმატება ტანჯვებს და ცდა-  
ლობს თავის საზიზღარი აზრებას განხორციელებას;  
მეოთხე, როდესაც ქმარი ბრუნდება საპატიმროდ-  
გან და რომელიც ცხოვრებას ანგარაშსა სთხოვს:  
ქალს და როგორც ცოლს, თავის შეურყეველს პა-  
ტიონებას, აი, ამ უსუსურს გამოუცდელს ქალს  
რამოდენი საშინელი გარემოებანი უბრუნავენ გულ-  
ში და უნდა პასუხი მისცეს. პირველივე ეს უმთავ-  
რესი გარემოებანი უნდა დაიცოს მსახიობმა და შედა-  
რულა კიდევ ქ. ანდრონიკაშვილისამ დასსდოეპით,  
რომ ცოტა როლის სწავლაში არ ეკოქლნა.

ძორრადო ამ პიესის გმირია (ბ. პლექ.-მესხი-  
ვი). ამ პირს ორი ცხოვრების პერიოდი აქვს: პირ-  
ველი, როდესაც საპატიმროში ზის და მეორე, რო-  
ცა თავისუფლებას პოულობს, — ეს ორივე უმთავრესი  
მოვლენანი, მეტის წინამდელით შეუგნია ბ. პლექ.-  
მესხივეს, როდესაც შემთხვევით ძორრადო პოულობს  
თავის ცოლ-შვილს, როდესაც ცოლ-ქმარნი ერთმა-  
ნერთს დანაშაულობას აპატიებენ და დიდხანს ჩაკ-  
რულნი ერთმანერთს ეხვევიან, აქ იმას ყოველივე  
უბედურება ავიწყდება, ავიწყდება თოთხმეტის წლო-  
ბითი ტყვეობა და ამ ერთს საათში იგი ბედნიერია, ეს  
მეორე პერიოდი ბედნიერის საათისა, მეტად ნამდ-  
ვილად და რეალოურად იყო გამოხატული ბ. მსა-



სიობისაგან. იმის მელოდიურის ხმიდან გამოისმო-  
და, როგორც შენდობა და ბედნიერება, აგრეთვე  
ტანჯვა და გულის გოდება.

3. ალექსეევ-მესხიევმა მეტად ხელოვნუ-  
რად დახატა ძორადალს შმაგი და ენებათა ღელ-  
ვით, სახეს ხასიათი, რომელიც იმის დაბადებითვე  
ხასიათს შეადგენენ. მით უფრო შესანიშნავი არი-  
ან ორი გარემოება: პირველი, როცა თავის ქალს  
აღდას ელაპარაკება და შინჯავს. ბ. ალექ. მესხი-  
ევმა მეტის სინამდვილით დახატა კაცის წინა  
მგრძობიერი მშობლიური ინსტიქტი. იმის გული-  
დგან გამოისმოდა ტირილი, ხან სასოწარკვეთილე-  
ბითი თხოვნა, ხან საშინელი მღელვარება, რომელ-  
საც იქვენულობა სძრავდა. მეორე გარემოება, რო-  
დესაც საწამლავს სეამს და საშინელის სიკვდილითა  
კვდება; უკანასკნელი ლაპარაკი თავის შვილს მამას-  
თან, რომ ლაც ისრე კანონიერად დახატა მსახიობ-  
მა, რამ თითქოს თავის სიცოცხლეს იმის მუქაში  
აძლედა, იტანჯებოდა იდუმლად და ენანებოდა  
ამ მშვენიერი არსების მუდმივი გაშორება. რაიც  
შეეხება სიკვდილს, სრულიად კანონიერი იყო, რო-  
გორც ფიზიოლოგიურად, აგრეთვე ფსიქურად,—ერ-  
თი სიტყვით კანონიერად დაგვიხატა ძორადალს  
ბუნებითი ხასიათი.

აგრეთვე რიგიანად წარმოადგინა ბ. ვ. აბაში-  
ძემ მონასტრის იზიუტის წინამძღვრის როლი და  
დანარჩენთ მსახიობთაც არა უჭირათ-რა. ამ უკანას-  
კნელს წარმოადგენიდან მაყურებელნი მეტად კმა-  
ყოფილნი წავიდნენ.

ი. ბ—ლი.

შაბათს, 23 ნოემბერს თბილისის თეატრში  
გამართულმა კონცერტმა, პირველი კლასიკური გი-  
მნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, დიდ-  
ძალი ხალხი მიიზიდა. თეატრი მთლად გაჰყვანილი  
იყო. კონცერტმაც ჩინებულად ჩაიარა. ჰველა არ-  
ტისტები მშვენიერად გალობდნენ. კონცერტის  
გარდა ერთი ვოდევილიც წარმოადგინეს „Подъи-  
телей не судить“. ამ ვოდევილში ჩინებულად  
შეასრულეს თავიანთი როლები ქალ. სვაბოდინა-  
ბარიშევამ და ბატ. კოსტიუკოვმა. ხარჯს გარდა  
700 მანეთამდის ფული დარჩათ ღარიბ მოსწავლეთ.

# ნეკროლოგი

† ი. წ. კოპაძე

უწყალო სიკვდილმა 18 ნოემბერს წაგვართვა  
ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტო-  
რი ივანე ზურაბის ძე კოპაძე. განსვენებულ ეკუ-  
თნოდა იმ გვარ პატიოსან ხალხთა რაცხეს, რომ-  
მელნიც ერთობ ცოტანი არიან ჩვენს საქართვე-  
ლოში. როგორც ინსპექტორი, იგი მხურვალეთ  
ასრულებდა თავის მოვალეობას და კარგს ნიდაღ-  
ზედაც დააყენა მისდამი ბარებული სასწავლებელი  
და როგორც კაცი, იგი იყო სინიღისიანი და პატი-  
ოსანებით სავსე, ამისათვის განსვენებული საყვარე-  
ლი იყო არა მარტო ახალციხის ქართველთა საზო-  
გადოებისათვის, არამედ სომეხთა, რუსთა და სხვათა  
საზოგადოებისათვისაც. ღიან, სამწუხაროა ამ გვარი  
კაცის დაკარგვა საზოგადოდ ჩვენთვის და კერ-  
ძოდ ჩვენ ახალციხელებისათვის, სადაც ერთობ  
იშვიათად შეხვდებით პატიოსანებით განსჯეალულს  
და კეთილ-სინიღისიანს პირს. და თუ მხედველ აბა-  
ში მივიღებთ მისს პატიოსანურს ქცევას მოსწა-  
ვლეთადმი, განსაკუთრებით შეუძლებელთადმი, რო-  
მელთაც მატერიალურადაც ზოგჯერ შემთხვევაში  
ეხმარებოდა,—მაშინ უნებლიედ წარმოსთქვავეს ყო-  
ველი პატიოსანი მოყვასთ მოყვარე: „დიდება და  
პატივი გვამსა შესა, უღმობელ ბედისაგან საუკუ-  
ნოდ მოშორებულთ, ივანე ზურაბის ძეცე!“

როგორც განსვენებაზე, აგრეთვე საყვარეობაც,  
დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და დიდის მწუხარებით  
და გლოვით მიაბარეს გაუმძღარს მიწას მისი გვამი.  
შულითადს მწუხარებას განუჩხადებთ მისს მწუ-  
ხარე მშობელთ ამ გვარის შვილის დაკარგვისათვის.

## შეძლილი სიევარულისჯან \*

დ რ ა მ ა ს უ თ ს ა ქ ტ ა დ

მხსულება ღონ მანუელ ტამაისი და ბაუსისა.

## ს ც ე ნ ა VIII

(შემდეგი\*)

დედოფალი, მემკე დონა ელვირა, ზაჟი და ცოტა სნის  
შემდეგ დონ ალვარსი.

დედოფალი. დღეს ვიციან მე ისა: ეხლა კი  
შემიძლიან ეტრწმუნო. მაღლობასა გწირავ, მეუფეო,  
მაღლობასა!

ელვირა. (შემოდის) მს რას ეხედამ, მარტოკა  
ბრძანდებით?

\*) იხილე «თეატრი» № 14.

**დედოფალი.** ჰო, მღვირა!

**მღვირა.** და როგორცა ეხედამ მხიარულადაცა ბრძანდებით?

**დედოფალი.** დამშვიდებულა ვარ, ჩემი ექვი ტყუილი გამოდგა.

**მღვირა.** მხლა ჩემი რიგია გისაყვედუროთ, დედოფალი!

**დედოფალი.** ნუ, ნუ, დანებე საყვედურს თავი. ზაძლევ სიტყვას, რომ ეჭვიანობას თავს დანებებ.

**მღვირა.** (იგისის) მერწმუნო თქვენ სიტყვას?

**დედოფალი.** შენ გაიცინე და მე კი შევასრულებ ჩემს დაპირებას.

**მღვირა.** ბერნარმა მოგახსენათ, რომ აპარტამენტში ღონ ალვარი გიცლითო, რომლისთვისაც, აუდენცია დაგინიშნათ.

**დედოფალი.** მისი ნახვის მოხარული ვარ, უთხარი რომ ამ ოთახში შემოიყვანონ.

**მღვირა.** (მიდის კარებთან მარჯვნივ და ნიშნის აძლევს; შემოვა გერნარი, რომელსაც ჩუმი და დასჯილი ეუხსება და შუა კარებიდან გავა) ზადაციე თქვენი ბრძანება.

**დედოფალი.** ახ, მღვირა, შენ უნდა იცოდე რა მშვენიერი ვაჟ-კაცი იყო, როდესაც მე მაგას ვიცნობდი. შექველია, რაიმე მოწყალების თხოვნა უნდა და მეც ყოველს მის თხოვნას შევიწყნარებ. დღეს მე მინდა, რომ სულ კეთილი საქმე ვაკეთო. როდესაც კაცი ბედნიერია, იმას უნდა რომ ყველანი ბედნიერნი იყვნენ.

**ღონ ალვარი.** (შუა კარებში გამოჩნდება) თუ რომ თქვენი დიდებულება მიბოძებს ნებას... (შემოდის დედოფლის ნიშნზე და მოშორებით დგება).

**დედოფალი.** მე თქვენი ნახვით ძალიან გავიხარე, კაპიტანო.

**ღონ ალვარი.** (თავისთვის) ეს რა მემართება!

**დედოფალი.** მე შეეიტყე, რომ თქვენ იტალიაში ყოფილხართ.

**ღონ ალვარი.** დიახ, იტალიაში ვიბრძოდით ისპანიის მტრებთან!

**დედოფალი.** ზონხალვო ძორღუანელი მთელს ქვეყანაზე პირველი სარდალია.

**ღონ ალვარი.** ოჰ, იმას რომ შეეძლოს თქვენი დიდებულებისაგან წარმოთქმული ქების გაგონება?

**დედოფალი.** მე იმას კიდევ ვახსოვარ?

**ღონ ალვარი.** და განა ვის დაეიწყება უსაყვარელესი ქალი ჩვენი დედოფალი იზაბელასი?

**დედოფალი.** დიახ, მე მას ძალიან უყვარდი, ვახსოვთ—რა ანგელოზის ღიმლით მეძახდა ხოლმე დიდი-დედას, რადგანაც მე მას ძალიანა ვგვანდი.

**ღონ ალვარი.** იმ დალოცვილი ადამიანისაგან სიტყვა არ გამოვიგონია, რომ მესხიერებაში არ ჩამჩენიყვეს.

**დედოფალი.** მისმა გარდაცვალებამ ძრიელ შემაწუხა, კაპიტანო.

**ღონ ალვარი.** იტალიაში სარდალი არა ყოფილა, რომ სავალალოდ არ დარჩენიყო...

**დედოფალი.** თქვენვე განსაჯეთ, კაპიტანო, ჩემი მწუხარება: მე არ დავსწრებივარ იმის სიკვდილის ჟამს და მისგან უკანასკნელი დალოცვა არ მომისმენია. მართი იმედი-ლა ახარებს ჩემს გულს: მისი სული პირ-და-პირ სამოთხეში გაფრინდებოდა.

**ღონ ალვარი.** (თავისთვის) როგორ არ გეყვარება იგი.

**დედოფალი.** თქვენი მამაცობა და ჩემი მშობლების სამსახურში ერთგულება, ჯილდოს ღირსათ გხდიან. ითხოვე რამე, ღონ ალვარი.

**ღონ ალვარი.** ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, მთლად ჩემი სიცოცხლე თქვენი დიდებულების სამსახურში გამეტარებინა.

**დედოფალი.** ხვალ ბურგოსში მივდივარ და იქ ძონეტაბლის სასახლეში ჩამოვხუტებით. თქვენც თავიდან არ მოვიშორებთ. მეფე არ გინახათ?

**ღონ ალვარი.** მე არასოდესაც არ მინახავს იგი.

**დედოფალი.** როგორ, ტუდელოში სცხოვრებდე და მეფე...

**ღონ ალვარი.** მე ტუდელოში არა ვცხოვრობ, დედოფალი.

**დედოფალი.** მაშ ახლო სადმე ქალაქში თუ სცხოვრობ?

**ღონ ალვარი.** მე ვცხოვრობ ამ ქალაქის ახლო მდებარე სასტუმროში; ჩემმა საშინელმა ავად-მყოფობამ აქ ორ თვემდის მომაცდევინა.

**დედოფალი.** (წამოადგება) სასტუმროში? ტელედოს რომ ეძახიან, იქ ხომ არა?

**ღონ ალვარი.** სწორეთ იქ.

**დედოფალი.** იქ რომ ორი რაინდი დაიარება არ გინახათ?

**ღონ ალვარი.** მე ვერ შემეძლო მენახა, რადგანაც ავად-მყოფობისა გამო შინიდან გარედ არ გამოსულვარ. ეს კი გავიგონე, რომ იქ ერთი შლამანდელი დაიარება თურმე.

**დედოფალი.** რომელიც ისპანიის რაინდთან მოდის მოსალაპარაკებლად?

**ღონ ალვარი.** იქ შლამანდელი რაინდის მეტი სხვა რაინდი არაინ დაიარება, იმასაც სხვა მიზანი იზიდავს...

**დელოფალი.** როგორ?

**ელვირა.** (დელოფალს ჩუქმად) თქვენი დაპირება—რომ აღარ ვიქვევობო?

**დელოფალი.** (ელვირას) მაჩუმდი! (აღვარს) მე მსურს ვაევიგო იმას იქ რა იზიდავს?

**ღონ ალვარი.** (არ იცის რა უზასუსოს) რა იზიდავს?...

**დელოფალი.** (თავისთვის) არ იცის, რა მიზანსუხოს.

**ღონ ალვარი.** არაფერი... არაფერი—რაც რომ თქვენ დიდებულებას შეეხებოდეს.

**დელოფალი.** მითხარი მართალი, ღონ ალვარი, დედოფლებიც ცნობის მოყვარენი არიან.

**ღონ ალვარი.** (გაუუგადავად) მარწმუნებთ, დედოფალი, რომ მეც ნადელიად არა ვიცი-რა.

**დელოფალი.** სტყუით, კაპიტანო.

**ღონ ალვარი.** ო! (თავისთვის) ძნელი მდგომარეობაა.

**დელოფალი.** იმ სასტუმროში სცხოვრობს ერთი სოფლელი ლამაზი ქალი და ამ ქალს ჰყვარობს ღონ ხუანი.

**ღონ ალვარი.** ტუული იქნებოდა, რომ უარ მეყო, რაც თქვენმა დიდებულებამა ბძანა, მაგტრეთ—მე არ ვიციდი, რომ თქვენ სუყველაფერი ასე კარგად გექნებოდათ ვაგებული.

**დელოფალი.** მღვთის მშობელო! იგი მატყუებს, მატყუებს იგი!

**ელვირა.** (ჩუქმად დედოფალს) დედოფალი, მოიგონეთ რომ გიქტყირან!

**დელოფალი.** მაშ მართალია, ჰა? იქ იმას სიყვარული იზიდავს.

**ღონ ალვარი.** მაცდუნება ჯველობისა, დროებითი ვატაცება...

**დელოფალი.** იცოდეთ, კაპიტანო, თუ თქვენ ამას სტყუით, თქვენი სიცოცხლე განსაცდელში იქნება?

**ღონ ალვარი.** დედოფალი...

**დელოფალი.** ეგ სიტყვები დაეწყებას მიეცით... მშვიდობით...

**ღონ ალვარი.** მიბოძეთ ნება თქვენ დიდებულებას ხელზე ვუამბორო.

**დელოფალი.** ქარგი... წადით (აწვდის ხელს, აღვარი მუსლ-მოდრეკილი ჰკოტნის).

**ღონ ალვარი.** (თავისთვის) რას ნიშნავს სუ-

ყველა ეს? ღმერთო ჩემო! ნუ თუ მართლა დედოფალი ქუაზე იყევს შეშლილი? (თავს უკრავს და გადის შუა კარებში).

### ს ც ე ნ ა IX

#### დელოფალი და ღონა ელვირა

**დელოფალი.** (ღონე მისდელი დაქცევა სჯამსუედ) ელვირა, ელვირა!

**ელვირა.** დედოფალი, გული მოიბრუნეთ! მნებათ ექიმს დაუძახებ?

**დელოფალი.** ნუ—მოიცადე, (ასადგომათ წამოიწყეს) შენ სინცოცხლეში ვაგიგონია მაგისთანა ტყუანა და ურცხვი ადამიანი? მაგ კაცის გამოსახვა ტავად სიტყვაც კი ვერ მომიძებნია. ის საყვარლის სანახავად დაიარება... მეც წავალ იქ... იმის სანახავად.

**ელვირა.** თქვენა?

**დელოფალი.** ჰო, მე! მე და შენ წავიდეთ ერთად.

**ელვირა.** და მაგითი რას ვაარიგებთ, დედოფალი!

**დელოფალი.** ჩემთვის ეხლა დარიგებანი და საყვედურები მეტია. დამეთანხმე და გაჩუმდი!

**ელვირა.** მომისმინეთ, თუ ღმერთი გწამთ...

**დელოფალი.** მგონი იმ ადამიანის ხმა მესმის, რომელმაც ასეთი შეურაცყოფა მომპყენა?

**ელვირა.** მეფე!...

**დელოფალი.** მამიტა მანტილია.

**ელვირა.** (თავისთვის) რა განსაცდელი მოვლის ამ ბეჩავ დელა-კაცს?! (ოთასში გადის მარჯვნივ)

### ს ც ე ნ ა X

#### მეფე და დედოფალი

**მეფე.** დაპირებისამებრ მოვედი გამოსათხოვლად.

**დელოფალი.** ნუ სწუხარ ჩემთვის—წადი იქ, სადაც შენი მეფის საღმრთო მოვალეობა მიგიწყევს.

**მეფე.** ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ყოველთვის მაგრე გიხილო ხოლმე...

**დელოფალი.** შენ ყოველთვის ამ ყოფაში მნახავ ამას იქით... მშვიდობით!...

**მეფე.** როგორ? შენ არ გინდა შენს მეუღლეს ჰყოცო?

**დელოფალი.** (ჰკოტნის) დიდის სიამოვნებით?

**მეფე.** შენს თავს ხომ კმაყოფილად და ბედნიერად გრძნობ?

დედოფალი. ხომ ჰხედავ ჩემს ტუჩებზე ღი-  
მილს! აბა ბედნიერი როგორ არ ვიქნები იმისთანა  
ქმრის ხელში, როგორიც შენა ხარ?

მეუა. ბოლოს ხომ დარწმუნდი შენს შეცლო-  
მილებასში?

დედოფალი. მე დამნაშავე ვიყავი, ეალვიარებ  
ამას.

მეუა. (ჭკოცნის ხელსე) მშვიდობით, ჩემო  
ხუანა.

დედოფალი. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ში  
ლიპე! (თავისთვის) მშვიდობით, საზნობარო! (მეუა  
შუა კარსიდან გადის).

### ს ც ე ნ ა XI

დედოფალი, მერე დონა ელვირა.

დედოფალი. მხლა ის ასე ფიქრობს: მოვატ-  
ყუე საწყალი დედა-კაცი და თვალთ-შაქცობაც ამის-  
თანა უნდაო; ფიქრობს ამას და მხიარული და ბედ-  
ნიერი ეხვევა თავის სატროფს... მე თითქო იმათ  
ერთადა ვხედავ, ვხედავ—თუ იგინი როგორ ჩასჩე-  
რებიან ერთმანერთს თვალებში, უქერენ ერთმანერთს  
ხელებს და სუნთქამენ ურთი-ერთობითი სიყვარუ-  
ლით ალგუნებულნი. მალე ორივეს თვალები ჩემკენ  
დაიწყებენ მზერას, იმათი ხელები მალე გაიშლებიან  
პატიობის სახეეწნელად. მათი სულთქმა მალე გარ-  
დაიქცევა ელდათ. ეს შენვე გწადიან და, ვცაღრა  
ბრძოლა! მე შენ გღევნი ყველგან, ერთს წუთსაც  
არ მოვისვენებ და სუყველა კმაყოფილებას ჩავიშ-  
ხამებ. ბეფიცები ღმერთსა და მის წმინდას, ღმ-  
რე ამ კაცს არ დავავიწყებდი! (დონა ელვირას, რა-  
მკლასაც მასტილიაი შეჰკაჭეს) წავიდეთ!...

ელვირა. უსათუოდა გსურთ?...

დედოფალი. მამყე მე.

ელვირა. მანამდის მაინც მოიცადეთ, მინამ  
ტახტრეიანს მოამზადებდენ.

დედოფალი. ბინდა—რომ მეფის ჯაშუშებმა  
გვიცნონ და მეფე გააფთხილონ? ჩვენ ამ კარებიდ-  
გან გავიდეთ (მარჯვნივ კარებსე უჩვენებს) და ფეხით  
წავიდეთ.

ელვირა. ფეხით? თქვენ რომ ეგრე სუსტათა  
ბრძანდებით.

დედოფალი. მე ვარ ეხლასუსტად? ამ დედა-  
კაცმა თვითონაც არ იცის, რას ამბობს.

ელვირა. მსაც ნუ დაკავიწყდებთ, რომ თქვენ  
შუბლს გვირგვინი ამშვენებს.

დედოფალი. ჰო, ჰო, ეხლა დროა ჩემ გულ-  
თან გვირგვინზე ლაპარაკი.

ელვირა. დედოფლობას დედა-კაცობაზე მალა  
უნდა აყენებდეთ.

დედოფალი. მხლა მე ექვიანი დედა-კაცი ვარ  
და არა დედოფალი.

ელვირა. მარჯალიო ღმერთო, შენ დავიფარე!  
დედოფალი. მე მარტოკა წავალ.

ელვირა. არა... მეც მზათავარ თან წამოგყვე...  
დედოფალი. წავიდეთ, გავეჩქაროთ, მოვასწ-  
როთ ერთად ბედნიერ შეყვარებულთ! წავიდეთ! შენ  
დანიხანე რომ იგინი ისე გაიფრთხილებენ, როგორც  
არწივისაგან შეშინებული მტრედები (გადას მუორე  
შლასის მუორე კარებსი მარჯვნივ).

ა. ნ—თ—მე.

(დასასრული პირველი მოქმედებისა)

რედაქტორი და გამომცემელი გ. საბაძე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА  
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

## „КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ издания).

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по  
прежней программѣ и подъ прежнюю редакцію ежедневно  
не исключая и понедѣльниковъ.

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ доставкой въ Тифлисъ.	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ	
	по Имперіи	по почтовому союзу
На годъ . . . 11 р. 50 к.	13 р. . . . .	18 р. 40 к.
„ полгода. 6 р. — „	7 р. . . . .	10 р. — „
„ 3 мѣсяца. 3 р. 50 „	4 р. . . . .	6 р. — „
„ 1 мѣсяць. р. 50 к.	2 р. . . . .	1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ,  
уголъ Головинскаго проспекта и Бяратинской улицы. домъ Ротинова.  
Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“

**ОБРАЗОВАННАЯ** особа (ино-  
странца) им-  
(ია), приѣхавшая изъ Москвы, желаетъ получить  
мѣсто къ дѣламъ или быть компаньонкою:  
Михайловская улица, Петербургскіе номера,  
№ 4.

ს უ რ ა თ ე მ ი  
ჩვენი ზოგუბის

აბაქო წამართლსა და ა. ჰავეზაბასსა  
ისყოლება ბრიგად ჩარკვიანის წიგნის მალბაში.  
უასი ჩინებულ ქალღმებრე მათი აბაზი